სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

07/08/2025

MES 4 25 0000961682

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

2025-2026 სასწავლო წლისათვის შემოდგომის სემესტრში სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებების ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და 49-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტის, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 31/07/2025 წლის N 161/01-01 ბრძანების, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 31/07/2025 წლის N 160/01-01 ბრძანების (დანართი N1), განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის (N 951234 05.08.2025წ.) სამსახურებრივი ბარათის და ამავე უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ნანა რინკიაშვილის სამსახურებრივი ბარათის (07/08/2025წ; N960274) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში გამოცხადდეს მიღება განათლების მეცნიერებების ერთობლივ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი:

განათლების მეცნიერებების ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა- 3 ადგილი.

2. განისაზღვროს სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის განათლების მეცნიერებების ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების ვადები:

ა) დოკუმენტაციის მიღება - 22 – 29 აგვისტო;
ბ) გამოცდა უცხო ენაში(ინგლისური, ფრანგული, გერმანული) - 4 სექტემბერი ;
გ) გამოცდის შედეგების გამოცხადება - 8 სექტემბერი (14:00 საათი);
დ) გამოცდის შედეგების გასაჩივრება -8 სექტემბერი-10 სექტემბერი (14:00 საათამდე);
ე) აპელაციის შედეგების გამოცხადება – 10 სექტემბერი;
ვ) დოქტორანტობის იმ კანდიდატთათვის, რომლებმაც დაადასტურეს/ჩააბარეს გამოცდა გერმანულ ან ფრანგულ ენაში:

- გამოცდა ინგლისურ ენაში-11 სექტემბერი;
- ინგლისური ენის გამოცდის შედეგების გამოცხადება - 12 სექტემბერი;
- ინგლისური ენის გამოცდის შედეგების გასაჩივრება– 13-14 სექტემბერი;
- ინგლისური ენის გამოცდის აპელაციის შედეგების გამოცხადება-15 სექტემბერი;

ზ) გამოცდა სპეციალობაში (წერითი კომპონენტი) – 11-12 სექტემბერი;
თ) გამოცდის (წერითი კომპონენტი) შედეგების გამოცხადება – 15 სექტემბერი;
ი) გამოცდის (წერითი კომპონენტი) შედეგების გასაჩივრება–16-17 სექტემბერი;
კ) აპელაციის (წერითი კომპონენტი) შედეგების გამოცხადება – 18 სექტემბერი;
ლ) გამოცდა სპეციალობაში (იმ საგანმანათლებლო პროგრამების დოქტორანტობის კანდიდატებისთვის, რომლებსაც მოეთხოვებათ ზეპირი კომპონენტის ჩაბარება) – 18 სექტემბერი;
მ) ხელშეკრულების გაფორმება დოქტორანტობის კანდიდატებთან - 19-22 სექტემბერი;
ნ) საგანმანათლებლო ერთეულების მიერ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტისთვის დოქტორანტობის კანდიდატთა სიის წარდგენა - 23 სექტემბერი.

3.ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს განცხადება რექტორის სახელზე, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

ა) განმცხადებლის ავტობიოგრაფია (CV);
ბ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დიპლომის დანართის დამოწმებული ასლი (სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულისათვის უნივერსიტეტის/შესაბამისი ფაკულტეტის მიერ, ხოლო სხვა შემთხვევაში - ნოტარიულად დამოწმებული ასლი; 2025 წლის მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის ცნობა ხარისხის მინიჭების თაობაზე);
გ) ერთსაფეხურიანი, ხუთწლიანი, უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრების დამადასტურებელი დოკუმენტი (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული);
დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
ე) სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა;
ვ) სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობა;
ზ) უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. გერმანული ან ფრანგული ენის ცოდნის დადასტურების შემთხვევაში, დოქტორანტს

მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება არანაკლებ B1დონეზე. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ/გერმანულ/ფრანგულ ენას მოეთხოვება ამ უცხოური ენის C1 დონეზე ცოდნა;
თ) ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); თუ კვლევის ემპირიული ბაზა არის ქართული- ქართული ენის ცოდნის C1 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ი) შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
კ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ლ) წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის ასლი (ან სამხედრო ბილეთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);
მ) ფოტოსურათი (3X4) – 2 ცალი;
ნ) სხვა დოკუმენტი, თუ ასეთს ითვალისწინებს სადოქტორო პროგრამა.

4.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს;
5.ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს (ი. შიოშვილს);
6.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
7.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურს;
8.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს;
9.დაევალოს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურს (თ. ასლანიშვილს) წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
10.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

ახალგაზრდობის სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა